სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 28

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ფოთის „ფოთი“ - თბ „რაშები“		
გუნდი	თბ „რაშები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	12/11/2025	მატჩის ადგილი	ფოთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

სადისციპლინო კომისია :

მირიან თავზარაშვილი - სხდომის თავმჯდომარე

ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომაზე დამსწრეები :

სრკ-ს მსაჯთა სამსახურის უფროსი დავით შუბითიძე.

თბ „რაშები“

დემეტრე კალანდაძე - თბ „რაშები“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელი.

ფაქტობრივი მოცემულობები

1. 2025 წლის 12 ნოემბერს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩის დროს, ფოთის „ფოთი“-სა და თბ „რაშები“-ს შორის, მომხდარი გუნდური ჩხუბის ვიდეომასალის განხილვის დროს სადისციპლინო კომისიის წევრებმა დააფიქსირეს თბ „რაშები“-ს სათადარიგო მოთამაშეების, სანდრო გაბელაიას და ტატო ადუაშვილის სათამაშო მოედანზე შესვლის და ჩხუბში ჩართვის ფაქტი.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

1. სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „რაშები“-ს მოთამაშეების, სანდრო გაბელაიას და ტატო ადუაშვილის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #4-ს 9.12 პუნქტის (მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: მუშტის დარტყმა) დარღვევა.

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 28

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

2. სადისციპლინო კომისიამ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია „რაშები“-ს სათადარიგო მოთამაშეების სანდრო გაბელაიას და ტატო ადუაშვილის სათამაშო პერიმეტრში შესვლის და გუნდურ ჩხუბში ჩართვის ფაქტი.
3. კომისიამ მხედველობაში მიიღო სადისციპლინო კომისიის 2025 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, გუნდური ჩხუბისთვის თბ „რაშები“-სთვის (ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი ქუთაისის „აია2“ - თბ „რაშები“ 11/06/2025) მიცემული გაფრთხილება.

დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით სადისციპლინო კომისიამ მიიღო

გადაწვეტილება

1. თბ „რაშები“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მოთამაშე სანდრო გაბელაია დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) კვირა/თამაშით. დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი 12/12/2025.
2. თბ „რაშები“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მოთამაშე ტატო ადუაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) კვირა/თამაშით. დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი 12/12/2025.
3. თბ „რაშებს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდეს 5 (ხუთი) საცხრილო ქულა **პირობითად**. პირობითი სანქციის პერიოდი განისაზღვროს 2025-2026 წლის ჭაბუკთა „ა“ ლიგის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.
4. პირობითი პერიოდის განმავლობაში ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, თბ „რაშები“-ს სანქციას ავტომატურად დაემატება ამ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობითი სანქცია.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	19/11/2025

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf